თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
HOLDING COMPANY

შპს "თეგეტა მოტორსი", საქართველო, 0131 ქ. თბილისი

118701
სსიპ ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბსაინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრი"
205310983

03

## ინვოისი

*ნომერი / თარიღი*
**2002970397** / 01.09.2016
*შეკვეთის ტიპი / გადახდის პირობა*
*გადარიცხვის შეკვეთა / მომენტალური გადახდა*
*მაღაზია / პასუხისმგებელი პირი*
*ცენტრალური-მსუბუქი / M.KATCHKATCH*
*შენიშვნა*
AA871DD

*ინვოისი ძალაშია გამოწერიდან სამი საბანკო დღის განმავლობაში!*

საგარანტიო პირობებით სარგებლობისთვის აუცილებელია გადახდის დამადასტურებელი საბუთის (ჩეკის) წარმოდგენა!

| № | კოდი | დასახელება | რაოდენობა | ფასი | ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| 10 | 70100476 | ავტოტექმომსახურება | 1ც | 50,0000 GEL | 50,00 |
| | | | ჯამი | | **50,00** GEL |
| | | | *მათ შორის დღგ* | | 7,63 GEL |

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
მომსახურების ხელშეკრულება N 30

ქ. თბილისი 02.09.2016

ერთის მხრივ შ.პ.ს ,, თეგეტა მოტორსი" წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის თემურ კოხოძის სახით შემდგომში "შემსრულებლად" წოდებული და მეორეს მხრივ **ს.ს.ი.პ. „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრი"** წარმოდგენილი მისი დირექტორის ავთანდილ დავითაიას სახით, შემდგომში "დამკვეთად" წოდებული, ერთად წოდებული "მხარეები" ვთანხმდებით და ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი:

1.1 „დამკვეთი" ავალებს ხოლო „შემსრულებელი" კისრულობს ვალდებულებას ჩაატაროს შემდეგი მომსახურეობა - ს.ს.ი.პ. „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრი"_ს საკუთრებაში არსებულ სატრანსპორტო საშვალების,სანომრე ნიშნით AA871DD ავტოტექმომსახურება. (CPV- 50110000) .

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები:

2.1 **"შემსრულებელი" ვალდებულია:**

2.1.1. დაიწყოს მომსახურება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან.

2.1.2. მოქმედი კანონმდებლობის, ნორმებისა და სტანდარტების, "დამკვეთთან" დადებული ხელშეკრულების პირობების, პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე დამოუკიდებლად განსაზღვროს მომსახურების ჩატარების ფორმები და მეთოდები.

2.1.3 მიიღოს "დამკვეთის" ან მესამე პირების ხელთ არსებული ყველა საჭირო დოკუმენტი, რომლებიც შეეხება მომსახურების საგანს. ასეთი დოკუმენტების მქონე მესამე პირები ვალდებულნი არიან წარუდგინონ ისინი შემსრულებელს "დამკვეთის" მიერ დამოწმებული მოთხოვნის შესაბამისად.

2.1.4. საიდუმლოდ შეინახოს მოსახურების დროს მიღებული ინფორმაცია, არ გაახმაუროს საიდუმლოების შემცველი ცნობები, არ გამოიყენოს ისინი თავიანთი ან მესამე პირის ინტერესებისათვის.

2.1.5. მომსახურების დასრულების შემდეგ წარუდგინოს "დამკვეთს" დასრულებული მომსახურეობა.

2.2 **"დამკვეთი" ვალდებულია:**

2.2.1 "შემსრულებელს" დროულად, მოთხოვნისთანავე გადასცეს მომსახურების ჩასატარებლად საჭირო მთელი დოკუმენტაცია, წარმოდგენილ დოკუმენტაციის უტყუარობაზე, სისრულეზე და შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება "დამკვეთს" და/ან მესამე პირს.

2.2.3. დროულად აანაზღაუროს შემსრულებლის მომსახურება ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

**3. მომსახურების ღირებულების და ანგარიშსწორების წესი:**

3.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების სავარაუდო ღირებულება წინასწარი დათვალიერებით შეადგენს 50 (ორმოცადათი) ლარი დღგ_ს ჩათვლით;

3.2. შემსრულებელთან ანგარიშწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში;

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურეობის მიღების შემდეგ, მხარეთა შორის მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) დღეში *(წინასწარი, საავანსო გადახდა არ გამოიყენება).*

3. 4. სახელმწიფო შესყიდვის დაფინანსების წყაროა: *აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი.*

4. მხარეთა პასუხისმგებლობა:

4.1. მომსახურეობის საფასურის გადახდის დაგვიანებისათვის "დამკვეთი" ვალდებულია გადაუხადოს "შემსრულებელს" ჯარიმა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის 0,1%-ის ოდენობით;

4.2 "შემსრულებლის" მიზეზით "დამკვეთისათვის" მომსახურების გადაცემის დაგვიანებისათვის "შემსრულებელი" იხდის ჯარიმას ყოველი ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის 0,1%-ის ოდენობით, ხოლო მომსახურების არ წარმოდგენის შემთხვევაში პირგასამტეხლოს, ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების სრული საფასურის ოდენობით.

4.3 სხვა შემთხვევაში ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული თავისი მოვალეობების შეუსრულებლობისათვის ან არასათანდოდ შესრულებისათვის მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. ფორს-მაჟორი:

5.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და შემსრულებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

5.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული "დამკვეთსა" და/ან "შემსრულებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა.

5.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს წერილობით მეორე მხარეს ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

6. დავათა გადაჭრა:

6.1. მხარეები სადაო საკითხებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მიმართავენ სასამართლოს.

7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები:

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 10 ოქტომბრამდე.

## 8. ზოგადი დებულებები:

8.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნეს წერილობითი ფორმით და ძალაში შედის მხოლოდ ორივე მხარის სრულუფლებიან წარმომადგენელთა მიერ მათი ხელმოწერის შემდგომ.

8.2. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ წესრიგდება წინამდებარე ხელშეკრულებით რეგულირდება საქართველოს მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობით.

8.3. ხელშეკრულება დადებულია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითოეული მხარისათვის.

## 9. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

**დამკვეთი:**
ს.ს.ი.პ. „აფხაზეთის ა/რ საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრი“

ს/კ: 205 310 983

**მისამართი**: ქ. თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №42 (იურიდიული მისამართი)
მიხეილ თამარაშვილის ქუჩა № 15ა (ფაქტიური

სახელმწიფო ხაზინა
ხაზინის ერთიანი ანგარიში

ბანკის კოდი:N TRESGE22

ცენტრის დირექტორი

/ავთანდილ დავითაია/

**შემსრულებელი:**
შ.პ.ს „თეგეტა მოტორსი“

ს/კ 202177205

**მისამართი**: ქ. თბილსი.
დ. აღმაშენებლის ხეივანი მე_12კმ
N5

ს.ს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი TBCBG22
ანგარიშის N:GE80TB0600000024467853

გენერალური დირექტორი

/თემურ კოხიძე /